ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 3

12 აპრილი 2018 წ.

ქ. რუსთავი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ:, *სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქ.რუსთავის სამუსიკო სასწავლებელი* (შემდგომში-შემსყიდველი) მისამართი ქ. რუსთავი, ჭავჭავაძის ქ №4; წარმოდგენილი მისი დირექტორის, *მედეა გამსახურდიას* სახით.

მეორეს მხრივ: *შპს „ბორჯომი ეოთერსი“* (შემდგომში-მიმწოდებელი) მისამართი: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. 11. წარმოდგნილი მისი დირექტორის *დავით ამაშუკელის* სახით.

ადასტურებენ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

NN	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ფასი
1	სასმელი წყალი ბალონებით	72	7	504
2	პლასტმასის ერთჯერადი ჭიქები /100 ცალიანი შეკვრა	48	2	96
	სულ			600

2.1 “მიმწოდებელი” “შემსყიდველს” მიაწვდის ეკოლოგიურად სუფთა მაღალი ხარისხის სასმელ წყალს “ბაკურიანს” CPV კოდი-41110000 და პლასტმასის ჭიქებს., CPV კოდი 39222120, ეტაპობრივად, წინასწარ შეთანხმებული რაოდენობის მიხედვით.
2.2 “მიმწოდებელი”დროებით უსასყიდლოდ სარგებლობისთვის გადასცემს ბალონებს, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ მიმწოდებლის მიერ მიწოდებული წყლისთვის.
2.3 ინვენტარის (ბალონის) გადაცემა და დაბრუნება აღირიცხება ტარის ფურცელში, რომელიც წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტს.
2.4 საქონლის მოწოდება უნდა დასრულდეს 2018 წლის 31 დეკემრამდე.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა 600 (ექვსასი) ლარი, დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.
3.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 –ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი:
4.1.1 ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს შეთანხმებული ხარისხის საქონელი/მომსახურება.
4.1.2 მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი/მომსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში
4.1.3. ვალდებულია დროებით, უსასყიდლოდ სარგებლობაში გადასცეს “მომხმარებელს” სათანადო ხარისხის 19 ლიტრიანი ბალონები, ამ ხელშეკრულების მიზნების შესაბამისად გამოყენებისთვის. იმწოდებელი უზრუნველყოფს მომხმარებლისათვის ბალონების ტრანსპორტირებას.
4.1.4 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი:
4.2.1 ვალდებულია ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში აანაზღაუროს მიწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულება და განახორციელოს ამ ხელშეკრულებით დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
4.2.2 ვალდებულია მიიღოს და გამოიყენოს გადაცემული ბალონები მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული დანიშნულებით და დაუბრუნოს ისინი “მიმწოდებელს”შემდგომი გამოყენებისათვის ვარგის მდგომარეობაში.
4.2.3“მომხმარებელი ვალდებულია ერთ შეკვეთაზე მოითხოვოს არანაკლებ 5(ხუთი) ცალი 19 ლიტრიანი ბალონი წყალი “ბაკურიანი”.
მომხმარებელი ვალდებულია წყლის ყოველი ახალი ბალონის მიწოდებისას დააბრუნოს ცარიელი 19 ლიტრიანი ბალონები (ტარა), შემდგომი გამოყენებისათვის ვარგის მდგომარეობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოუწევს თითოეული ცარიელი ბალონის (ტარა) ღირებულების- 25(ოცდახუთი) ლარის გადახდა.

5. სტანდარტები

5.1 მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და უნდა იყოს მხარეთა შორის შეთანხმებული ხარისხის.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მიწოდებული მომსახურების ხარისხის პერიოდული კონტროლი.

6.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან (როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი) 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კონტროლს. აიპ რუსთავის ისტორიული მუზეუმის დირექტორი ნაზიბროლა პაჭიკაშვილი.

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

7.2 საქონლის/ მომსახურების მიღებას აწარმოებს აიპ რუსთავის ისტორიული მუზეუმის დირექტორი.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად აცნობოს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის/ მომსახურების მოცულობის და წუნდების მიზეზების შესახებ.

7.4. მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის დამოწმებაზე პასუხისმგებელია მიმწოდებლის დისტრიბუტორ.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

8.1.1 ანგარიშსწორების ვალუტა ლარი;

8.1.2 ანგარიშსწორების ფორმა უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს მიღება ჩაბარების აქტი სასაქონლო ზედნადები ან ანგარიშ-ფაქტურა.

8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 15 დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებული უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 პუნქტის შესაბამისად

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.1% ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მხარეები იტოვებენ უფლებას, რომ შეწყვიტონ ხელშეკრულება და მოითხოვონ შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 დღით ადრე.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკულების დამდებ რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში. იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, ქართულ ენაზე. თითოეულ მხარეს აქვს ამ ხელშეკრულების თითო ეგზემპლიარი.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შპს „ბორჯომი ვოთერს"

ს/კ 226146872.

მისამართი: ქ. თბილისი,

სარაჯიშვილის ქ. 11

თიბისი ბანკი TBCBGE22;

ა/ნ GE43TB0600000360202009

ტელ: 54-10-28; 54-10-29

დავით ამაშუკელი/

სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქ.რუსთავის სამუსიკო სასწავლებელი

ს/კ 216297166

მისამართი: რუსთავი; ჭავჭავაძის №4

სახელმწიფო ხაზინა TRESGE22

GE24NB0330 100 200 165 022

ტელ : 0341256860

მედეა გამსახურდია